ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3852911

ნომერი: AR1577647

თარიღი : 14.02.2018

გაცემის თარიღი : 06.03.2018

გაცნობის თარიღი : 06.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფალიაშვილი , N 67 ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ინასარიძე პ/ნ 01017001114
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 40 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2952351 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 14 თებერვლის №AR1577647 განცხადებით მომართეს გიორგი ინასარიძემ და შოთა ევგენიძემ. განმცხადებლებმა

მოითხოვეს სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2952351 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2016 წლის 18 ნოემბრის №2952351 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა, N67, შპს "დემორი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.14.11.020.022) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 18 ნოემბრიდან 2018 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით. 2018 წლის 2 თებერვლის №3805276 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური ხარვეზი 2016 წლის 18 ნოემბრის №2952351 ბრძანებაში. კერძოდ: კომერციულ ფართობად დაფიქსირდა 375.15 კვ.მ, საოფისე ფართობად 356.15 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 2512.95 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 726.7 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 398,10 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 697.3 კვ.მ, დამხმარე ფართობად 52.45 კვ.მ, საერთო ფართობად 5118,8 კვ.მ. სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2952351 ბრძანებით შეთანხმებული -3, -2 -1, 0, პირველი, მე-3, მე-7 და მე-13 სართულზე მდებარე გეგმები ჩანაცვლდა 2018 წლის 10 იანვრის №AR1568852 განცხადებაზე, 2018 წლის 02 თებერვლის შეტყობინებით წარმოდგენილი -3, -2 -1, 0, პირველი, მე-3, მე-7 და მე-13 სართულზე მდებარე გეგმებით. განმცხადებლების განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2952351 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ: საზაფხულო ფართობად 726.7 კვ.მ - ის ნაცვლად 812.1 კვ.მ -ის, საერთო ფართობად 5118,8 კვ.მ -ის ნაცვლად 5204.2 კვ.მ - ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2952351 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 ნოემბრის №2952351 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 5204.2 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 812.1 კვ.მ.

2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18